ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ა კ ა დ ე მ ი უ რ ი ს ა ბ ჭ ო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,
ნინოშვილის ქ., №35

ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №48

2015 წლის 25 მაისი,
ქ. ბათუმი

„ბსუ-ს სადოქტორო პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2013 წლის 19 აგვისტოს №87–ე დადგენილებაში ცვლილებისა და დამატებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე, ბსუ-ს აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. შევიდეს ცვლილებები და დამატებები „ბსუ-ს სადოქტორო პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2013 წლის 19 აგვისტოს №87–ე დადგენილებაში, კერძოდ:

1) მე–2 მუხლის მე–3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. პროგრამის შემუშავებასა და ეფექტურ განხორციელებას კოორდინირებას უწევს პროგრამის ხელმძღვანელი - პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებიდან მოწვევის შემთხვევაში დოქტორის (ან მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხის მქონე პირი (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი)."

2) მე–3 მუხლის მე–3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„ბ) „გამოცდა/გასაუბრებას უცხო ენასა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) და სპეციალობაში";

3) მე–3 მუხლის მე–5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„5. დოქტორანტობის კანდიდატი, რომელსაც ქართულენოვან პროგრამაზე სურს სწავლა და მისი მშობლიური ენა არ არის ქართული, წარმოადგენს ქართული ენის A2 დონის დამადასტურებელ სერტიფიკატს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ან ჩააბარებს გამოცდას ქართულ ენაში."

4) მე–3 მუხლის მე–8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„8. კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:

ა) განცხადება;

ბ)უმაღლესი განათლების (კვალიფიკაციის) დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები (დამოწმებული ნოტარიულად);

გ) სადისერტაციო ნაშრომის სავარაუდო თემის დასახელება და მეცნიერ-ხელმძღვანელის თანხმობა;

დ) საკონკურსო პირობებით დადგენილი სხვა დოკუმენტაცია.

5) მე–7 მუხლის მე–4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„ა) ბსუ-ს მაგისტრატურის, რეზიდენტურისა და დოქტორანტურის სამსახურმა ფაკულტეტების საბჭოებთან თანამშრომლობით უნდა შექმნას უცხოელ ექსპერტთა მონაცემების საინფორმაციო ბაზა და უზრუნველყოს დისერტაციის შემოკლებული ვარიანტის (30-40 გვერდი) საერთაშორისო რეცენზირება.

6) მე–7 მუხლის მე–4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„ბ) დოქტორანტის მიერ სადოქტორო თემაზე შესრულებული მინიმუმ სამი ნაშრომი/სტატია უნდა იყოს დაბეჭდილი ან დასაბეჭდად მიღებული საზღვარგარეთ ან საქართველოში გამოცემულ და შესაბამის საერთაშორისო კლასიფიკატორში დაფიქსირებულ რეფერირებად/ რეცენზირებად ან დადებითი იმპაქტ ფაქტორის მქონე ელექტრონულ ან ბეჭდურ ჟურნალში, ან შესაბამის დარგობრივ სამეცნიერო საერთაშორისო ჟურნალში ან საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალებში“.

7) გასწორდეს ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, მე–7 მუხლის მე-6 პუნქტი მიეთითოს, როგორც მე–5 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, კერძოდ, ქართველოლოგიისა და კავკასიოლოგიის მიმართულების სადისერტაციო ნაშრომების ინტერნაციონალი–ზაციისათვის სავალდებულოა ამ მუხლის მე–4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესრულება, ხოლო „ა“ ქვეპუნქტისათვის საკმარისია უცხო ენაზე თარგმნილი დისერტაციის შემოკლებული ვერსიის (30-40 გვერდი) გაგზავნა მაგისტრატურის, რეზიდენტურისა და დოქტორანტურის სამსახურის მიერ უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო–კვლევით ცენტრებში, რომელთა ნუსხას ადგენს ფაკულტეტის საბჭო.

8) დანართი 2-ში ცხრილს დაემატოს ერთი გრაფა „საბოლოო შეფასება“ და განმარტება „საბოლოო შეფასება მიიღება შეფასებების საშუალო არითმეტიკულის გამოთვლის გზით“.

2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს სხდომის თავმჯდომარე,
პროფესორი **გურამ ჩაგანავა**